საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემია

Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE TBILISI
STATE ACADEMY OF ART

KA000036593423825

ბრძანება

№ 1-ს/ხ

24 / იანვარი / 2025 წ.

შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაციისა და გამოცდების ვადების შესახებ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის № 05/84 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ (შემდგომში - აკადემია) წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლისN10/ნ ბრძანების N1 დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და აკადემიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (N37 ოქმი) დამტკიცებული აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2024-25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაციისა და გამოცდების ვადები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) განცხადების მიღება/რეგისტრაცია კრედიტების აღიარება და ჩასარიცხ პირთა შესახებ დასკვნების მომზადება (შესაბამისობის დადგენა) - 2025 წლის 17-20 თებერვალი;

ბ) გამოცდები სპეციალობაში - 2025 წლის 24-25 თებერვალი.

გ) შედეგების გამოქვეყნება - 2025 წლის 26 თებერვალი;

დ) შიდა მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ აკადემიის სამართლებრივი აქტის გამოცემა - 2025 წლის 28 თებერვალი.

2. აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა (მ. ხუნდაძე) უზრუნველყოს, შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ ორი კვირის ვადაში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის შიდა მობილობის შედეგების მიწოდება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი№64).

საფუძველი:

აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომის 2025 წლის 21 იანვრის სხდომის N58 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ყარამან ქუთათელაძე